

ტელეკომპანია პირველის თვითრეგულირების კომისიის კრების ოქმი N 5

ქ. თბილისი
26 ივნისი, 2020 წ.

ესტრებოდნენ:

ნინო ციციშვილი - „ტელეკომპანია პირველი“-ს იურისტი;
გიორგი დარჯანია - „ტელეკომპანია პირველი“-ს მულტიმედია არხების ხელმძღვანელი;
ლევან კირვალიძე - გადაცემა „რეაქციის“ პროდიუსერი.

დღის წესრიგი:

შპს „სამშენებლო კომპანია მამისონის“ საჩივრის განხილვა.

მოისმინეს:

ნინო ციციშვილმა კომისიის წევრებს გააცნო შპს „სამშენებლო კომპანია მამისონის“ საჩივარი, რომელიც ეხებოდა 2020 წლის 10 ივნისს, ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში გასულ სიუჟეტს, ახალციხის სავტომობილო გზის ხულო-ზარმის და ხულო-გოდერძის უღელტეხილის მონაკვეთის სარეაბილიტაციო/სარეკონსტრუქციო სამუშაოებისა და ბათუმის სასაფლაოების ტენდერთან დაკავშირებით.

საჩივარი გამოგზავნილია ფოსტით, რომელიც ტელეკომპანიის ადმინისტრაციას ჩაბარდა 2020 წლის 19 ივნისს.

კომისიის წევრებმა ტელეკომპანიის არქივიდან გამოითხოვეს მასალები, დეტალურად განიხილეს საჩივარში მითითებული სიუჟეტი და შეაჯამეს ფაქტობრივი გარემოებები.

საჩივრის ავტორი უთითებს საჯაროდ ხელმოსაწვდომ ინფორმაციაზე, რომელიც ზედაპირზეა და მარტივად მოსაპოვებელი, თუმცა საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენს სწორედ ის ინფორმაცია და ის გარემოებები, რომელიც ზედაპირზე არ ჩანს და რომელიც კითხვის ნიშანს აჩენს სახელმწიფო სახსრების მიზნობრივად გამოყენებასთან დაკავშირებით. რადგან ეს თითოეულ მოქალაქეს უშუალოდ ეხება, უმნიშვნელოვანესია ტელევიზიის როლი მოსახლეობის პრობლემის წარმოჩენასა და მათ დროულ ინფორმირებაში. საგამოძიებო ჟურნალისტის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს გამოავლინოს ისეთი ფაქტები და შესაძლო დარღვევები, რომელიც კორუფციულ გარიგებებს, უფლებამოსილების შესაძლო გადაჭარბებას ან სახელმწიფო სახსრების არამიზნობრივად ხარჯვას ამხელს. ასეთ დროს, მხოლოდ საჯარო რეესტრის ამონაწერი ან ოფიციალურად ხელმისაწვდომი ინფორმაცია, ცხადია, არ არის საკმარისი. აქვე დავძენთ, რომ სიუჟეტში წათლად ჩანს, რომ ჟურნალისტი ცდილობდა სამშებებლო კომპანიასთან დაკავშირებას და მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის გადამოწებას, თუმცა საჯარო რეესტრი დაფიქსირებულ ოფიციალურ მისამართზე შპს „სამშენებლო კომპანია მამისონი“ არ მოიძებნა.

სიუჟეტიდან ცალსახად დასტურდება, რომ კომპანიის მიმართ არსებობს გარკვეული უარყოფითი მოლოდინი შეუსრულებელი პროექტიდან გამომდინარე, რის შემდეგაც კითხვის ნიშანი სიუჟეტში ფაქტებით დასტურდება, რომ ადგილი აქვს შეუსრულებელი პროექტის შემდეგ ახალი, ძალიან მნიშვნელოვანი გარიგების დადებას. ასევე საჩივარში მითითებული

2019 წლის 29 იანვრის აუდიტის დასკვნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ელექტრონულ
ვებგვერდზე www.sao.ge არ იძენბნება.

ყოველივე ზემოგანხილულიდან გამომდინარე, თვითრეგულირების კომისია ადგენს, რომ
არ დარღვეულა მაუწყებელთა შესახებ კანონის, მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მოთხოვნები
და ურნალისტური ეთიკის პრინციპები. ტელეკომპანია პირველს საჯაროდ აქვს
გაცხადებული ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების განუხრელად დაცვა და
პატივისცემა მის სარედაქციო პოლიტიკაში.

თვითრეგულირების კომისია ასკვნის, რომ არ უნდა დაკმაყოფილდეს შპს „სამშენებლო
კომოანია მამისონის“ მოთხოვნა, ვინაიდან დარღვევებს ადგილი არ ჰქონიდა და
ურნალისტები მოქმედებდნენ კანონის ფარგლებში.

ნინო ციციშვილი

გიორგი დარჯანია

ლევან კირვალიძე

6. წლის
ქადაგი
გიორგი დარჯანია
ლევან კირვალიძე